ISSN 1987-5134

# საბავშვო კარუსელი




ფასდაკლების ვაუჩერი

ამოჭერი ვაუჩერი, წარადგინე „ბიბლუსის“ ნებისმიერ მაღაზიაში და მიიღე წიგნი ფასდაკლებით

საბავშვო კარუსელი

ვაუჩერი ძალაშია 12 აგვისტოდან 18 აგვისტოს ჩათვლით




ჯადოსნური ზღაპრები ყველა ასაკის ბავშვისთვის

~~10 ლარი~~

4.99 ლარი


შემეცნებით-გასართობი ჟურნალი

31

12 აგვისტო, 2016 წელი
გამოდის პარასკეობით
ფასი 2 ლარი

www.facebook.com/საბავშვო-კარუსელი

# რაინდული გამოცანები



ამ მამაც რაინდს სახელად მაიკი ჰქვია. ცხენიც ჰყავს და რაინდის აღჭურვილობაც აქვს. იპოვე ამ ფარებს შორის ზუსტად ისეთი, როგორიც მაიკს უჭირავს.



ამ გოგონას ევი ჰქვია, ის მაიკის დაა, რაინდი არ არის, სამაგიეროდ ჯადოქრობა შეუძლია და ძალიან უნდა მაიკსაც დაეხმაროს. გაჰყევი დახლართულ ხაზებს და ვნახოთ, რისი ელექსირი დაუმზადებია ევის.





# მაიკის სამყარო




ამოიკითხე ასოები ფრაგმენ-ტების მიხედვით და გაიგებ, რა ჰქვია მაიკის ცხენს.



იპოვე ცხენებს შორის 5 განსხვავება.



# მოზაიკა



ამოჭერი ფრაგმენტები და
ნიმუშის მიხედვით ააწყვე ნახატი.



# გასაფერადებელი



# კროსვორდი ნახატებით



# ლაბირინთი



დააკვირდი და ჩამოთვალე, რა შეხვდება გზაზე ძროხას, სანამ მეორე ძროხასთან მივა?

# კროსვორდი „ტყე“



# სამკუთხა ლაბირინთი

დიეგო თავის ვეფხვს ისე უნდა შეახვედრო, რომ მხოლოდ სამკუთხედებზე იაროს.



# გამოიცანი, რომელი ნახატია ზედმეტი!

მუზა ზღვაზე წავიდა და პლაჟზე უამრავი ნივთი წაიღო. მაგრამ ზოგიერთი სწორედაც რომ უადგილოა. მონიშნე ზედმეტი ნივთები X-ით.















ვინქსების შესახებ
მეტი წაიკითხე
წიგნში

# გააფერადე და გაერთე

პეპლის დეტალები ჯერ ნიმუშის მიხედვით გააფერადე, შემდეგ ამოჭერი და წებოს დახმარებით ააწყვე შენი ფარფატა მწერი.



# ჩრდილებით თამაში



ყველა
ჭუკი თავის
ანაბეჭდთან
დააკავშირე.

# კროსვორდი „არჩევანი“

სამი ვარიანტიდან აირჩიე, რომელია ზედმეტი და ჩასვი კროსვორდის უჯრებში.



**1**
- მარანი;
- ვენახი;
- კოდალა.

**2**
- ბახალა;
- წიწილა;
- გოდორი.

**→3**
- ბურთი;
- ქვაბი;
- თეფში.

**↓3**
- კარადა;
- ბილიკი;
- საწოლი.

**4**
- თვალი;
- მუხლი;
- რკინა.

**5**
- მტრედი;
- ირემი;
- ირისი.

**6**
- ბერეტი;
- ხოხობი;
- დიადემა.

**7**
- ნიორი;
- ხახვი;
- ლეიბი.

**8**
- რვეული;
- პენალი;
- მაწონი.

**→9**
- კრავი;
- ფარდა;
- ფარჩა.

**10**
- ვეფხვი;
- მარილი;
- ტაპირი.




დააკვირდი ნახატზე მოცემულ საგნებს და დაუკავშირე ისინი შესაბამის სიტყვას.



სავსე

ცარიელი



ბოთლები დააწყვე ფორთოხლის წვენის მოცულობის მიხედვით, ნაკლები მოცულობიდან მეტ მოცულობამდე და მიუწერე შესაბამისი რიცხვები.



.......... .......... .......... .......... ..........

ლევანს და რეზის გასაბერი საცურაო აუზის წყლით გავსება სურთ. რომელი საგნის გამოყენებით შეძლებენ აუზის უფრო სწრაფად გავსებას? აღნიშნე საგანი X-ით.





მოცემული საგნებიდან, რომელი დაიტევს მეტ წყალს? ..........................................................

# თამაში

ამ თამაშში 2 ბავშვი მონაწილეობს, თუმცა მეტისთვისაც შესაძლებელია. დაგჭირდებათ კამათელი და იმდენი ფანტი, რამდენი მოთამაშეცაა. დააწყვეთ ფანტები „სტარტზე“ და გააგორეთ კამათელი. გადაადგილდით იმდენი უჯრით, რა ციფრზეც კამათელი დაჯდება. გამარჯვებულია ის, ვინც პირველი მივა ფინიშთან.



„საზღვაო ბრძოლა“



# საინტერესო ამბები

„რაინდი მაიკი“ მულტფილმია ბიჭზე, რომელსაც ძალიან უნდა, ნამდვილი რაინდი იყოს და ყველაფერს აკეთებს ამისთვის. საინტერესოა, ვინ იყვნენ რაინდები, რომელთა მიბაძვაც ასე უნდა მაიკს? გავიცნოთ უფრო ახლოს შუა საუკუნეების რაინდები.



შუა საუკუნეებში (დაახლოებით მე-14–მე-16 საუკუნეებში) ძალიან დიდ აღიარებად ითვლებოდა, თუ მამაკაცს რაინდად მოიხსენიებდნენ. იმისთვის, რომ ნამდვილ რაინდებად ქცეულიყვნენ, ადრეული ასაკიდან ვარჯიშობდნენ, სწავლობდნენ იარაღის კარგად ხმარებას და აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ კარგად აღზრდილები, წესიერები და სცოდნოდათ ქალთან მოქცევა. რაინდები ქალებს არა მხოლოდ სიძლიერით და შეუპოვრობით, არამედ კარგი მანერებითაც ხიბლავდნენ. მათი სათაყვანებელი პრინცესებისთვის გმირობებს სჩადიოდნენ.





რაინდების საბრძოლო იარაღი იყო არბალეტი – მშვილდისრის მსგავსი, დიდი იარაღი, უფრო სწორად, სუპერმშვილდისარი, რომელიც არა ხისგან, არამედ ფოლადისგან მზადდებოდა და ძალიან ძლიერ დარტყმას უძლებდა, 300 მეტრამდე სიგრძეზე ისროდა ისრებს.

# რაინდებზე



რაინდს უნდა ჰყოლოდა კარგად მოვლილი და ძლიერი ცხენი. ხშირად, ცხენიც ისევე იყო შეჯავშნილი, როგორც მხედარი – ჯაჭვის პერანგით ან ფოლადის ფირფიტებით შემოსილი. ჯავშნის ტარება არც ისე ადვილი იყო, საკმაოდ ბევრს იწონიდა და რაინდს ამხელა ჯავშნით კიდეც უნდა ებრძოლა და კიდეც უნდა ევლო დიდ გზებზე.



როცა ომში არ მიდიოდნენ, რაინდები თავს ვარჯიშით იქცევდნენ და ერთმანეთში ორთაბრძოლებიც ხიბლავდათ. რაინდთა ბრძოლებს მაყურებელიც ჰყავდა და ნამდვილ სანახაობად იქცეოდა ხოლმე.

რაინდების ყველაზე ცნობილი ბრძოლა ჯვაროსნული ლაშქრობა იყო. ქრისტიანი რაინდები, რომლებსაც ჯვაროსნებს უწოდებდნენ, მუსლიმანებისგან წმინდა მიწის გასათავისუფლებლად იბრძოდნენ და ეს ბრძოლა თითქმის 200 წელს გაგრძელდა.



# მეფე კურდღელი



ერთ ტყეში უამრავი ნადირ-ფრინველი ცხოვრობდა. მათ შორის იყო ერთი, ჩვეულებრივი, ნაცარა კურდღელიც. ამ კურდღელმა, ერთხელ, სიზმარი ნახა; — თითქოს, ამ ტყის მბრძანებელი ლომი კი არა, თვითონ იყო. იმდენად მოეწონა ჩვენს კურდღელს ეს სიზმარი, რომ ახალგაღვიძებულს, უბრალო, ჩვეულებრივ კურდღლად ყოფნა აღარ უნდოდა, ამიტომ თვალები ისევ მილულა, და ოცნებას მიეცა. იმდენი იოცნება, რომ ნელ-ნელა მართლა დაიჯერა, რომ სიზმარს რეალობად აქცევდა. ჰოდა, მაშინვე შეუდგა კიდეც საქმეს: — მოაგროვა ფერადი ფოთლები, ყვავილები, ხვიარები, მოირთო და ისე დაიმშვენა სამეფო სამოსელი და გვირგვინი, რომ ნამდვილ მეფესაც კი შეშურდებოდა.

ამ დროს ლომმა თავისი მხლებლებითურთ — ვეფხვით, დათვით და მგლებით გამოიარა.

— კურდღელმა არც აცია, არც აცხელა, ხმა დაიბოხა და შესძახა: — ჰეი, ლომო, მოდი აქ! მოდი და თაყვანი მეციო! — გაიჭიმა თავის თავში ღრმად დარწმუნებული, სიზმრიდან რეალობაში ახლახან გადმოსული მეფე-კურდღელი.

იმდენად მოულოდნელი იყო კურდღლის ეს სითამამე, თავის ამ უცნაურ ჩაცმულობასთან ერთად, რომ ლომმა იფიქრა: — ალბათ რაღაცაშია საქმე, შეიძლება რაღაც ჯადოსნურ ძალას ფლობდეს, თორემ ამდენს როგორ გამიბედავდაო? იფიქრა, იფიქრა და იმდენი იფიქრა რომ ჯერ შიში შეეპარა, მერე კი მართლა დაიჯერა კურდღლის უძლეველობა, თავი დახარა, შიშნეულად ჩაუარა უკვე „მეფე-კურდღელს“ და დაბნეულმა ტყეს შეაფარა თავი. მხლებლებიც იმას მიჰყვნენ, აბა, ლომის შემშინებელ, უცნაურ კურდღელს, ურჩობას და წინააღმდეგობას როგორ გაუბედავდნენ?

იმ დღიდან ტყეს კურდღელი განაგებდა. ხარკსაც ის იღებდა, ღალასაც და საქმეებსაც ის აგვარებდა უკვე დამორჩილებული ლომ-ვეფხვის, დათვისა და მგლების ხელით, ოდნავი ურჩობისთვისაც კი სასტიკად სჯიდა და აწიოკებდა ქვეშევრდომებს. ხანდახან კი, ლომ-ვეფხვსა და მგლებს ერთმანეთს წაუსევდა ხოლმე, რომ მუდმივ შიშსა და გათიშულობაში ჰყოლოდა ისინიც.

შეწუხდნენ ტყის ბინადარნი, დრო გადიოდა, მათ ტანჯვას კი ბოლო არ უჩანდა. არწივიც კი, რომელიც ამ ტყეში დაიბუდებდა, ბედის უცნაურობით, ამ მეფე-კურდღელს უნდა დამორჩილებოდა და იყო ასე, მანამ სანამ...



ერთ მშვენიერ დღეს, კავკასიური ნაგაზის ერთი, უკვე წამოზრდილი ლეკვი, მიუხედავად მშობლების მრავალგზის გაფრთხილებისა, – ტყეში მარტო არ გახვიდე, მრისხანე მბრძანებელს – მეფე კურდღელს არსად გადაეყარო და თავი არ დაიღუპოო, – მაინც გაეპარა მშობლებს და პირდაპირ ტყის შუაგულ მინდორში მოჭყვა სეირნობას. კურდღელს შეუმჩნეველი არ დარჩენია თამამი ლეკვის ეს გამოხტომა და მოახლოებულს შეუძახა: – შენ, ჰეი, ძაღლის ნაშიერო! აბა აქეთ მოდი!

– ლეკვი მივიდა, შორიახლო გაჩერდა და ინტერესით შეათვალიერა უცნაურად მორთული კურდღელი.

– როგორ გაბედე ჩემს ცხვირწინ ასე თავხედურად სეირნობა! – წამოუხტა მეფე-კურდღელი და ლეკვს ბომბორა თავში თათი წამოარტყა.

– ლეკვს აბა იმდენი სიფრთხილე და გამოცდილება სად ჰქონდა, რამდენიც ლომსა და სხვა დიდ მხეცებს, – იფიქრა, კურდღელი მეთამაშებაო და თვითონაც გაჰკრა უკვე საკმაოდ მოღონიერებული თათი. ამ დარტყმაზე, სრულიად მოულოდნელად, მეფე-კურდღელს შესამოსელი გასძვრა და ჩვეულებრივ კურდღელს დაემსგავსა.

– ლეკვმა ახედ-დახედა საკმაოდ მოსუქებულ მეფე-კურდღელს, კიდევ გაჰკრა თათი, გადააგორ-გადმოაგორა და ჩაილაპარაკა: – გემრიელი ლუკმა ჩანსო, – სტაცა კისერში პირი და ნადავლი მშობლების ბინისაკენ წააცუნცულა.

– მხეცებმა ნელ-ნელა გამოყვეს თავი, გამოვიდნენ ტყიდან და ტყე ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმს დაუბრუნდა, ლომმა ისევ დაიკავა თავისი კუთვნილი ადგილი.

ასე იხსნა პატარა, ბომბორა ლეკვმა, ტყის ბინადარნი გათავხედებული კურდღლის ბატონობისაგან.





მოუძებნე ყველა არსებას თავისი კუდი.



# პატარებისთვის

დააკავშირე ყველა ბუშტი შესაბამის ციფრთან.



# გააფერადე



# გააფერადე

შეაერთე წერ-
ტილები თან-
მიმდევრობით
და გააფერადე
ნახატი.





გამოიწერეთ **ჟურნალი „საბავშვო კარუსელი“**
და ისარგებლეთ ადგილზე მიტანის
**უფასო მომსახურებით**
დაგვიკავშირდით:
**2 38 26 73; 2 38 26 74**
**ELVA.GE** წიგნების და პრესის ხელმოწერის კომპანია

# შეამოწმე შენი ცოდნა





## 1. რას ამბობენ გაჯიუტებულ ადამიანზე?



ა ქვა ააგდო და თავი შეუშვირაო

ბ ქვა ქვაზე აღარ დატოვაო

გ ყბედი ვინ მოღალაო

## 2. რა არ შედის ტყის ნობათში?



ა სოკო

ბ პანტა

გ საზამთრო

## 3. რომელი არ არის მწერი?



ა კალია

ბ მტრედი

გ კოღო



4. რომელია ჩასაბერი საკრავი?

ა ჩელო

ბ ვიოლონო

გ ფლეიტა



5. რომელ ქალაქს უნდა ეწვიო დელფინარიუმის სანახავად?

ა ქუთაისს

ბ თელავს

გ ბათუმს





6. რომელ მეფეს უწოდეს თავდადებული?

ა დავითს

ბ დემეტრეს

გ გიორგის



7. რომელია „ძუნწის“ საპირისპირო სიტყვა?

ა კეთილი

ბ თავმდაბალი

გ ხელგაშლილი



8. რომელი თითია ნეკის გვერდით?

ა არათითი

ბ ცერა თითი

გ საჩვენებელი თითი

ტესტი

# რამდენად კარგად იცნობ კინოსამყაროს?

ფილმს იღებს...
ა) დურგალი;
ბ) რეჟისორი.

რა ჰქვია ადამიანს, რომელიც ფილმისთვის ამბავს წერს?
ა) მასწავლებელი;
ბ) სცენარისტი.

რა ჰქვია დანადგარს რითიც კინოს იღებენ?
ა) ფოტოაპარატი;
ბ) კინოკამერა.

გადასაღები მოედანი არის ადგილი...
ა) სადაც საქანელებია და თამაში შეიძლება;
ბ) სადაც კინოს იღებენ.

ოპერატორი არის...
ა) ადამიანი, რომელიც ფოტოებს იღებს;
ბ) ადამიანი, რომელიც კინოს იღებს.

თუ შენს პასუხებში ჭარბობს:

ა ვარიანტი:

კინო, როგორც ყველა ბავშვს, ალბათ, შენც გიყვარს, მაგრამ ეტყობა, კინოგადაღების შიდა სამზარეულოს არ იცნობ.

ბ ვარიანტი:

ყველა კითხვას სწორი პასუხი გაეცი, ყოჩაღ, რეჟისორობას ხომ არ აპირებ?

# მხატვრის გვერდი

ამ ნახატებიდან რამდენიმე „ბიბლუსი ქიდს-ში“ გასართობად მისული პატარე-ბის დახატულია. თქვენც გაერთეთ „ბიბლუსი ქიდსში“, იქვე დახატეთ და საუკეთესო ნახატე-ბი ჩვენს ჟურნალში მოხვდება.


ელენე კაზაროვი, 8 წლის


თათია სვანიძე, 9 წლის


ანი ირემაძე, 9 წლის


თორნიკე ზარბაზოია, 7 წლის


სანდრო კელაპტრიშვილი, 9 წლის


მიშიკო იაშვილი, 7 წლის


თამუნა ეჯოშვილი, 9 წლის


დათო ხარებავა, 5 წლის


ნიკოლოზ ბაბაიანი, 11 წლის


თამარ ჭაჭია, 7 წლის


ანი ნაკანი, 5 წლის

## №31-ის პასუხები

**გვ. 6. კროსვორდი ნახატებით:**
1. კარლსონი; 2. მგელი; 3. ცხვარი; 4. ხახვი; 5. მერცხალი; 6. პინოქიო; 7. ლიმონი; 8. დანა; 9. ყური; 10. ალუბალი; 11. ლომი; 12. კალია; 13. მიკი.

**გვ. 8. კროსვორდი „ტყე“:**
1. პეპელა; 2. ფუტკარი; 3. კუნძი; 4. ლოკოკინა; 5. ჭიამაია; 6. ციყვი; 7. მელა; 8. მგელი; 9. ზღარბი; 10. რკო; 11. სოკო; 12. კალია; 13. ბუ; 14. კურდღელი; 15. დათვი.

**გვ. 14. კროსვორდი „არჩევანი“:**
1. კოდალა; 2. გოდორი; 3. (ჰორიზონტალურად) ბურთი; 3. (ვერტიკალურად) ბილიკი. 4. რკინა; 5. ირისი; 6. ხოხობი; 7. ლეიბი; 8. მაწონი; 9. კრავი; 10. მარილი.

**გვ. 26-27. შეამოწმე შენი ცოდნა:**
1-ა; 2-გ; 3-ბ; 4-გ; 5-გ; 6-ბ; 7-გ; 8-ა.

**გვ. 30 სკანვორდი:**
1. ღამურა; 2. ოლიმპი; 3. ბურატინო; 4. მერხი; 5. პლომბირი; 6. აკელა; 7. მეგობრობა; 8. აგური; 9. კრამიტი; 10. ანძა; 11. სპილო; 12. მელია; 13. პუმბა; 14. ორი; 15. სალამური; 16. სათამაშო; 17. დედამიწა.


კოლორი
დაიბეჭდა სტამბა კოლორში

პალიტრამედიის ცხელი ხაზი: (995 32) 2 19 60 13
(995 32) 2 19 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
sabavshvo@palitra.ge
მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
სარეკლამო: (995 32) 2 37 78 07
(995 32) 2 38 78 70

საბავშვო კარუსელი №31 (596)



ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე:
www.elva.ge
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!

# სკანვორდი


1
2
ღმერთების მთა
3
4
5
ერთგვარი ნაყინი
6
მაუგლის გამზრდელი მგელი
7
ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა
8
9
სახურავის მასალა
10
11
12
13
14
8-6=?
15
16
რითაც ვთამაშობთ
17
ჩვენი პლანეტა

გაატარეთ ზაფხული მხიარულად

# გააფერადეთ არდადეგებზე!

**5** გასაფერადებელი + ფანქრების კომპლექტი
ჟურნალ „საბავშვო კარუსელის“ ბიბლიოთეკისგან




კომპლექტის ფასი 3 ₾

შეიძინეთ პრესის გავრცელების ჯიხურებსა და „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში

# გამომცემლობა პალიტრა L-ის წიგნები

**გვ. რაოდ.:** 318
**ფორმატი:** 19.5x24.5
**ყდა:** ფლექსი

## კლასიკური ზღაპრების საგანძური

### იმოგზაურე ჯადოსნურ სამყაროში




ჯადოსნური ზღაპრების წიგნი ერთი დიდი და ფერადი სამყაროა, სადაც ფერიები, მოლაპარაკე მხეცები, ჯუჯები და რაინდები ცხოვრობენ; პრინცესები თავიანთ გმირებს ელიან; მეფეები და დედოფლები ზღაპრულ წვეულებებს მართავენ... წაიკითხე და აღარ მოიწყენ, თითო ზღაპარი ერთი დიდი და უჩვეულო თავგადასავალია. და იცოდე, რომ სიკეთე ყოველთვის ამარცხებს ბოროტებას.

**ფასი 24.99 ლარი**

**გვ. რაოდ.:** 30
**ფორმატი:** 18x21
**ყდა:** მაგარი

## ცნობისმოყვარე და მოხერხებული გოგონების მეგზური




წიგნში გაეცნობი, როგორ გამოიყენო პარეო; მარტივ და სასარგებლო წასახემსებელს მოამზადებ თაფლით; დაამზადებ საქანელას და ცუდი სიზმრების ხაფანგს; ისწავლი კენკრის ამოცნობას; ითამაშებ ახალ, აქამდე უცნობ თამაშებს; შეძლებ შენი საიდუმლოებების უჩინარი მელნით ჩაწერას...წიგნის წაკითხვის შემდეგ გეცოდინება ყველაფერი ის, რაც უნდა იცოდეს ცნობისმოყვარე და მოხერხებულმა გოგონამ!

**ფასი 21.99 ლარი**

**გვ. რაოდ.:** 93
**ფორმატი:** 22x29.5
**ყდა:** მაგარი

## ანი, ბანი, ოქროს ბანი




კიკლი, კიკლი, კიბესა,
ყურცქვიტების ციხესა
ბაჭიები სკუპიან,
– მელა კბილებს ილესავს,
– სტაფილო მაქვს ჩანთითო,
აქეთ ჩამობრძანდითო!
– არ ჩამოვალთ, არაო,
მელა მატყუარაო!

**ფასი 12.99 ლარი**

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74
და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ www. palitral.ge Palitra.L.Publishing